

ევროპის ასოცირების შეთანხმების დირექტივების შესრულების

მდგომარეობა და პრობლემები საფინანსო ბაზარზე

ცინცაძე ასიე – პროფესორი, საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დეპარტამენტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

ვაშაკმაძე ირინე – ასოცირებული პროფესორი, საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დეპარტამენტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

თავაძე ირინე – ასისტენტ-პროფესორი, საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დეპარტამენტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

Implementation of European Association Agreement Directives and Problems in the Financial Market

Tsintsadze Asie – Professor, Department of Finance, Banking and Insurance, Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia

Vashakmadze Irina – Associate Professor, Department of Finance, Banking and Insurance, Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia

Tavadze Irine – Assistant Professor, Department of Finance, Banking and Insurance, Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia

Abstract

Introduction and aim: Effective functioning of a financial market has a key role in the development of a country's economy. Developing countries experience lack of funds, one of the best ways to attract investment capital is the development of the right direction of the securities market, credit market and insurance market that are served by the regulations adopted in this field, which are derived from the Association Agreement.

The research objective: To determine the effectiveness of new regulations on the financial market, the purpose of implementing regulations is to improve the quality of the banking system, the securities market, the insurance market, and the sustainable development of the economy.

Research methodology: Statistical analysis.

Results and implications: It can be said that a new phase starts with new regulations on the market of financial institutions. Current regulations are directed to the solvency of the insurance company, the use of mechanisms for maintaining financial sustainability, and the rule of formation and placement of reserves. However, there are no regulations for the development of life insurance.

Conclusion: According to the new regulations, we think that in 2019 banking sector will be significantly different from the 2017 situation. In the short term, it will bring down retail lending, increase expenditures in the sector, increase demand on capital and reduce profitability, and in the long term we should hope that it will contribute to the improvement of the financial system of Georgian financial system, which will ensure financial sustainability of the banking system. Regulations concerning the development of the securities market, here a pension reform is important, which has come into force since January, 2019. As a result of this, the state accumulative pension system started in which large amounts of accumulated funds will be invested in local securities, in the local economy.

Keywords: insurance market, securities market, banking market, national bank.

აბსტრაქტი

მესავალი და მიზანი: ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ფინანსური ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირებას. განვითარებადი ქვეყნები განიცდიან საკუთარი სახსრების არარსებობას, საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას კი ფასიანი ქაღალდების ბაზრის, საკრედიტო ბაზრის, და სადაზღვევო ბაზრის სწორი მიმართულებით განვითარებაა, რასაც ემსახურება ამ სფეროში მიღებული რეგულაციები, რომელებიც გამომდინარეობს ასოცირების ხელშეკრულებიდან.

ფინანსურ ბაზარზე ახალი რეგულაციების ეფექტურობის განსაზღვრა, რეგულაციების დანერგვის მიზანი არის საბანკო სისტემის, ფასიანი ქაღალდების ბაზრის, სადაზღვევო ბაზრის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რასაც უნდა მოჰყვეს ეკონომიკის მდგრადი განვითარება.

კვლევის მეთოდოლოგია: სტატისტიკური ანალიზი.

შედეგები და გამოყენება: შეიძლება ითქვას, რომ საფინანსო ინსტიტუტების ბაზარზე ახალი ეტაპი იწყება დღემდე მოქმედი რეგულაციები მიმართულია სადაზღვევო კომპანიის გადახდისუნარიანობის, ფინანსური მდგრადობის შენარჩუნების მექანიზმების გამოყენებაზე, ასევე მოქმედებს რეზერვების ფორმირებისა და განთავსების წესი. თუმცა სიცოცხლის დაზღვევის განვითარებისათვის ხელშემწყობი რეგულაციები არ არსებობს.

დასკვნა: ახალი რეგულაციების მიხედვით ვფიქრობთ, რომ, 2019 წელს საბანკო-საფინანსო სექტორის სურათი 2017 წლის ვითარებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება. მოკლევადიან პერიოდში ეს მოიტანს საცალო დაკრედიტების შენელებას, სექტორში ხარჯების ზრდას, კაპიტალზე მოთხოვნის ზრდას და მომგებიანობის შემცირებას,

გრძელვადიან პერიოდში კი, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის ხელს შეუწყობს ქართული საფინანსო სისტემის ხარისხობრივ გაუმჯობესებას, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობას.

საკვანძო სიტყვები: სადაზღვევო ბაზარი, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, საბანკო ბაზარი, ეროვნული ბანკი

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ფინანსური ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირებას. განვითარებადი ქვეყნები განიცდიან საკუთარი სახსრების არარსებობას, საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალება კი ფასიანი ქაღალდების ბაზრის, საკრედიტო ბაზრის, და სადაზღვევო ბაზრის სწორი მიმართულებით განვითარებაა, რასაც ემსახურება ამ სფეროში მიღებული რეგულაციები, რომლებიც გამომდინარეობს ასოცირების ხელშეკრულებიდან.

ფინანსურ ინსტიტუტებს შორის ერთერთი უძველესი ისტორია დაზღვევის დარგის განვითარებას აქვს. საწყისი ნიშნები, რომლებიც არახელსაყრელი მოვლენების დროს ზარალის ანაზღაურებას გულისხმობდა ჯერ კიდევ ძველ რომში ჩვ.წ.ად. გაჩნდა. უპირველესი პირობა, რომელსაც სადაზღვევო ურთიერთობების ჩამოყალიბება მოითხოვდა სადაზღვევო შენატანებით მზღვეველის ვალდებულებების დაფარვისათვის შესაბამისი ფონდის ფორმირება იყო. თუმცა სადაზღვევო ფონდების დანიშნულება დარგის კომერციული პრინციპებზე გადასვლამდე მხოლოდ ანაზღაურება იყო. კომერციულ პრინციპებზე გადასვლამ ფონდების გამოყენებას მთავარ დანიშნულებასთან ერთად საინვესტიციო მიმართულება მისცა. ინვესტირების განხორციელებისათვის განვითარებული ფინანსური ბაზარი აუცილებელი პირობა იყო. საფინანსო ინსტიტუტებისაგან განსხვავებით დაზღვევის ინსტიტუტი თავსებურებებით ხასიათდება, ვინაიდან მისი საქმიანობა მიღებული რისკების რეალიზაციაზეა დამოკიდებული, რომელიც ზარალის ანაზღაურების წინაშე აყენებს მას. გამომდინარე აქედან, სადაზღვევო რეზერვების საინვესტიციო მიმართულებაც განსხვავდება სხვა ტიპის კომპანიების ინვესტირების ობიექტებისაგან. დაზღვევის დარგის მარეგულირებელი კანონები და ნორმატიული აქტები აგებულია დაზღვევის ფონდების მდგრადობის შენარჩუნებასა და ზრდაზე.

ცხრილი №1. სიცოცხლის დაზღვევით მოზიდული პრემიის წილი სადაზღვევო ბაზარზე

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
Year	▲▼	▲▼	▲▼	▲▼	▲▼	▲▼	▲▼	▲▼
Country								
Australia	57.0	56.7	53.6	54.9	61.1	59.2	55.4	52.1
Austria	34.1	35.5	35.3	32.5	31.7
Belgium	65.0	63.2	64.7	57.7	56.5	55.4	54.4	53.7
Canada	35.6	34.0	32.1	32.9	28.7	28.7
Chile	66.0	62.5	65.5	66.5	65.8	68.3	70.4	69.4
Czech Republic	46.0	46.4	46.9	45.7	45.1	41.1	40.6	38.3
Denmark	..	68.2	68.7	95.4	67.7	68.9	68.7	69.1
Estonia	40.6	39.8	33.9	29.3	30.3	31.2	30.0	27.3
Finland	59.5	51.2	51.2	56.8	57.4	58.3	50.6	50.7
France	17.2	63.9	62.1	62.4	64.2	64.2	58.0	55.2
Germany	47.9	45.7	35.5	36.0	35.9	34.0	33.1	32.1
Greece	43.3	43.7	43.2	41.4	49.5	50.5	47.2	50.4
Hungary	53.2	54.6	53.0	54.5	54.8	51.1	49.5	48.2
OECD - Total								

Source: Organization for Economic co- Operation and development, <https://stats.oecd.org/Index.aspx?DataSetCode=INSIND>, insurance indicators

დაზღვევის ისტორიაში პირველი პროდუქტის გაჩენა საზღვაო რისკების დაზღვევას უკავშირდება მე-XIV საუკუნეში, თუმცა ამ სახის რისკებისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის შექმნილი ფონდის ინვესტირების ნიშნები, ვიდრე არ მოხდა სადაზღვევო საქმის კომერციალიზაცია არ იკვეთება. მე -XVII საუკუნეში მათემატიკური სტატისტიკისა და მასზე დაყრდნობით აქტუარული ანაგარიშების განვითარებამ შესაძლებელი გახადა სიცოცხლის გრძელვადიანი დაზღვევის პროდუქტის შექმნა.

თანამედროვე პერიოდში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში სიცოცხლის გრძელვადიანი და დაგროვებადი საპენსიო დაზღვევას ფინანსური ბაზრის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაში წამყვანი ადგილი უჭირავს, რასაც ქვემოთ მოყვანილი მონაცემები ადასტურებს (ცხრ. 1)

როგორც ცხრილიდან ჩანს ყოველწლიურად სიცოცხლის დაზღვევის წილი სადაზღვევო ბაზარზე მზარდია, შესაბამისად იზრდება სადაზღვევო კომპანიების ინვესტირების შესაძლებლობა, რაც ასევე ზრდის ფინანსური ბაზრის რესურსულ პოტენციალს. საქართველოში დაზღვევის დარგის ისტორია დაახლოებით 28 წელს ითვლის. რა მდგომარეობა არის საინვესტიციო ფუნქციის შესრულების მხრივ აჩვენებს საერთო შემოსავლებში საინვესტიციო შემოსავლების წილი (ცხრ. 2):

ცხრილი №2. საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მონაცემები (2010-2018)წწ სიცოცხლის დაზღვევა

სადაზღვევო ბაზარი	სულ შემოსავლები	საინვესტიციო შემოსავლები, ლარი, სიცოცხლის დაზღვევის ფონდის ინვესტირებიდან	სიცოცხლის დაზღვევის წილი სადაზღვევო ბაზარზე
2010	38 854 326	9 341 248	2,77%
2011	(20 353 044)	6 706 533	5,10%
2012	(5 893 620)	6 944 339	4,39%
2013	3 205 870	5 746 170	2,67%
2014	44 703 072	4 806 083	5,50%
2015	4 757 925	5 461 982	6,95%
2016	25 903 033	6 743 317	6,46%
2017	26 053 415	8 055 176	5,60%
2018	37 325 109	10 928 597	6,90%

წყარო: საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახური, <http://insurance.gov.ge/Home.aspx>

ცხრილში მოყვანილი მონაცემებით დასტურდება, რომ საქართველოში სიცოცხლის დაზღვევის წილი ძალიან მცირეა, შესაბამისად დაბალია კომპანიების საინვესტიციო აქტივობაც. საინტერესოა ევროპის ქვეყნების გამოცდილება სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარებაში. ისტორია ადასტურებს, რომ ევროპის ქვეყნებში სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის ჩამოყალიბება დაიწყო 1957 წელს რომის შეთანხმების საფუძველზე და დღეისათვის მძლავრი ინდუსტრიაა თითოეულ ქვეყანაში. 1992 წელს დასრულდა სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის ჩამოყალიბება ერთიან ევროპულ სივრცეს ინტეგრაციით. ბაზრის განვითარებას სამართლებრივ რეგულირებასთან ერთად დაზღვევის პოლისების რაოდენობრივი ზრდა უნდა უწყობდეს ხელს, სწორედ ამ მიზნით ეროვნულმა მთავრობამ მოსახლეობას წახალისა დაზღვევის პოლისის შექმნისას შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმით, რამაც გაზარდა კომპანიის მათემატიკური რეზერვები და გააჩინა ინვესტირების შესაძლებლობები.

საქართველოში სადაზღვევო საქმიანობა ხორციელდება დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ, რომელიც წარმოადგენს ეროვნული ბანკის სამართალმემკვიდრეს დაზღვევის და საპენსიო სქემების ზედამხედველობის საკითხებში, მათ შორის, საერთაშორისო ასოციაციის წევრობასთან დაკავშირებული სტატუსის, უფლებებისა და მოვალეობების ნაწილში. დღემდე მოქმედი რეგულაციები მიმართულია სადაზღვევო კომპანიის გადახდისუნარიანობის, ფინანსური მდგრადობის შენარჩუნების მექანიზმების გამოყენებაზე, ასევე მოქმედებს რეზერვების

ფორმირებისა და განთავსების წესი. თუმცა სიცოცხლის დაზღვევის განვითარებისათვის ხელშემწყობი რეგულაციები არ არსებობს. ევროკავშირთან ინტეგრაციისათვის მნიშვნელოვანია საქართველოში გადახდისუნარიანობის დირექტივების დანერგვა. ევროკავშირის ქვეყნებში 2016 წლის 1 იანვრამდე Solvency I-ის დირექტივა მოქმედებდა, (ანგარიშსწორება და რეპორტირება). რომლის შემდეგ გადავიდნენ Solvency II-ის დირექტივაზე, რითაც უზრუნველყოფილი იქნა სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგრადობა. საქართველოს კანონმდებლობაში ეს დირექტივა 2020 წელს უნდა აისახოს. მისი მთავარი მოთხოვნაა სადაზღვევო კომპანიებს ჰქონდეთ საკმარისი ფინანსური რესურსები და მყარი გარანტიები. იგი ასევე ადგენს მართვისა და ზედამხედველობის წესებს. ამ დირექტივის მიხედვით სადაზღვევო კომპანიებს მოეთხოვებათ ორი ტიპის კაპიტალი:

- მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა (Minimum Capital Requirement): კაპიტალის ის მინიმალური ოდენობა, რომლის ქვემოთაც პოლისის მფლობელები დაუცველები იქნებიან მაღალი რისკისგან.
- გადახდისუნარიანობის კაპიტალის მოთხოვნა (The SCR – The Solvency Capital Requirement) არის ის დონე, რომლის ზემოთ არსებობს არაკონტროლირებადი ჩარევა ფინანსური მიზეზებიდან გამომდინარე.

ევროპის ასოცირების შეთაბხმების რეკომენდაციების გათვალისწინებით ამოქმედდა ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენებისას მესამე პირის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა. ეტაპობრივად გაიზრდება მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოცულობა. გარდა ამისა, 2018 წლის 1 იანვრიდან სადაზღვევო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტის შენარჩუნებისათვის დაუდგინდათ ნორმა: საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობა გადახდისუნარიანობის სავალდებულო კაპიტალთან უნდა შეადგენდეს 100%-ზე მეტს. გადახდისუნარიანობის სავალდებულო კაპიტალი არის შემდეგ ორს შორის უდიდესი: 100 მილიონ ლარამდე მოზიდული პრემიების 18%-ს დამატებული 100 მილიონი ლარის ზემოთ პრემიის 16% და 70 მილიონ ლარამდე მოთხოვნების 26%-ს დამატებული 70 მილიონ ლარს ზემოთ მოთხოვნების 23%. ბიზნესის მაღალი რისკის კლასებისთვის პრემია იზრდება ამ გაანგარიშების მიზნებისთვის და ხდება კორექტირებების შეტანა სადაზღვევისთვის. გამკაცრდა მინიმალური კაპიტალის მოცულობის სტრუქტურა, კერძოდ ნაცვლად 80% ნაღდი ფულის სახით მოთხოვნისა მთლიანად ნაღდი ფულით განისაზღვრა, ეს მოთხოვნები უზრუნველყოფს სადაზღვევო ბაზარი სტაბილურობას.

ფინანსური მდგრადობის გაზრდა აამაღლებს მოსახლეობის ნდობას სადაზღვევო კომპანიებისადმი, მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება სიცოცხლის დაზღვევის გაფართოებისათვის ევროკავშირის გამოცდილების გაზიარება.

ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება 2017- 2020 წლის პერიოდში სხვა მრავალ საკითხთან ერთად აქცენტს აკეთებს ურთიერთობის ფორმატში სიცოცხლის დაზღვევის მომსახურების გაწევას მხარეებს შორის. სწორედ ეს შეთანხმება დააყენებს დღის წესრიგში სიცოცხლის გრძელვადიანი დაზღვევის პირობების შესაბამისობაში მოყვანას ევროკავშირის სტანდარტებთან.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და საბაზრო პრინციპების დანერგვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა, ქართული საბანკო სექტორი დინამიურად ვითარდება, ჯანსაღია და მნიშვნელოვანი წილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ახალი რეგულაციები შემუშავა, დახვეწა და დანერგა.

საქართველოში ახალი საბანკო რეგულაციების სტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის პირველ რიგში უნდა განისაზღვროს საკანონმდებლო ბაზა. დაანონსებული ცვლილებები შეიძლება

დავყოთ ორ ბლოკად პირველი ეხება კომერციული ბანკების კაპიტალის მდგრადობას და მეორე რეგულაციების მიღების მთავარ მოტივად ჭარბვალთანობის პრობლემა დასახელდა.

მას შემდეგ, რაც სებ-მა თავისი რეგულირების ქვეშ მოაქცია ონლაინ სესხების კომპანიები, პრუდენციალური ნორმები გაავრცელა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე, ეს გახდა სიგნალი, რომ დაიწყებოდა ამ სეგმენტის სწრაფი კონსოლიდაცია, კაპიტალიზაციის ზრდა და არაკვალიფიციური მოთამაშეების ბაზრიდან გასვლა, რასაც ახლა ჩვენ თვალს ვადევნებთ. სე-ბი ასევე აკეთებს განცხადებას, რომ შემოაქვს "სესხის გამცემი" სუბიექტის დეფინიცია და მასში მოხვედრილი სუბიექტებიც დაექვემდებარებიან რეგულირებას. ამ პროცესში ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა იყოს ბაზრის ყველა, დიდი და პატარა მოთამაშისათვის თანაბარი და სამართლიანი ეკოსისტემის შექმნა.

უკვე ამოქმედებული რეგულაციების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ, საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა 5-ით შემცირდა, 21-ით შემცირდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რაოდენობა და კომერციული ბანკების 1 სერვის-ცენტრი დაიხურა.

სებ-ის სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში 67 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ოპერირებდა და წლიურ ჭრილში მათი რაოდენობა 15.2%-ით არის შემცირებული.

ვალუტის გადამცვლელი 1030 ჯიხური ოპერირებდა წლიურად მათი რაოდენობა 83-ით არის შემცირებული.

რაც შეეხება კომერციულ ბანკებს, 15 კერძო ბანკი იყო ბაზარზე, რაც 1-ით ნაკლებია შარშანდელ ოქტომბერთან შედარებით. 15-დან 14 ბანკში, უცხოური კაპიტალი მონაწილეობს. მათ აქვთ 134 ფილიალი და 799 სერვის-ცენტრი.

ჯამური სააქციო კაპიტალის მოცულობამ ოქტომბრის ბოლოსთვის 4.861 მლრდ ლარი შეადგინა.

საქართველოს საბანკო სექტორი 15 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი; მათ შორის 14 საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით. ეროვნული ბანკის ცნობით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 481.6 მილიონი ლარით, ანუ 1.3 პროცენტით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.6 პროცენტით შემცირდა) და 38.3 მლრდ ლარს მიაღწია. საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 4.9 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 12.7 პროცენტია.¹ წელიწადში ბანკების ჯამური სააქციო კაპიტალი 599 მლნ ლარით გაიზარდა.

ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის დეზულემა 2019 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა. ამ დეზულემის მიზანია საქართველოს საფინანსო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობა და ჯანსაღი დაკრედიტების წახალისება. რაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას შეუწყობს ხელს.

დებულებით განსაზღვრული რეგულაციები ერთდროულად გახდება სავალდებულო, როგორც კომერციული ბანკებისათვის, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის, საკრედიტო კავშირებისა და სესხის გამცემი სუბიექტებისთვის.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, <http://nbg.gov.ge/>

რეგულაციები საცალო სესხების სეგმენტს შეამცირებს და არ არის გამორიცხული, ამან უარყოფითი გავლენა იქონიოს ეკონომიკაზე. რეფორმა განსაკუთრებით მტკივნეული სწორედ მათთვის იქნება, რადგან თვითდასაქმებული ადამიანები, რომლებიც შემოსავალს ვერ ადასტურებენ, თუმცა, ეს შემოსავალი გააჩნიათ, სწორედ ასეთ ორგანიზაციებს მიმართავენ.

ცხადია, სესხის აღების ასეთი სიმარტივე იმის რისკებსაც შეიცავს, რომ ფინანსურად გაუთვინციობიერებულმა მომხმარებელმა არაოპტიმალური გადაწყვეტილება მიღოს. სწორედ ამ

ფაქტორის გამო, სებ-ი მნიშვნელოვან რესურსს უთმობს ფინანსური განათლების ამაღლებას. სამშენებლო და სავაჭრო, ასევე საბანკო სექტორის წარმომადგენელთა განცხადებით, 1 იანვრიდან მნიშვნელოვნად არის შემცირებული ახალი სესხების გაცემის მაჩვენებელი, რის შედეგადაც, იპოთეკასა და სხვადასხვა საქონელზე, რომლის შეძენაც წარსულში განვადებით ხდებოდა, მოთხოვნა შემცირებულია. აღნიშნავენ, რომ სესხების გაცემაზე მოქმედი შეზღუდვების გამო, ბინების გაყიდვები გასული წლის იანვართან შედარებით, რიგი კომპანიებისთვის - 30%-ის, რიგ შემთხვევაში კი, 70%-ის ფარგლებში შემცირდა.

ახალი რეგულაციები “ჯანსაღი კრედიტების” გაცემას არ აფერხებს. სტატისტიკა, საჭიროებს დეტალურ ეკონომიკურ ანალიზს, რასაც ეკონომიკის სამინისტრო და ეროვნული ბანკის სპეციალისტები აკეთებენ. ჭარბვალიანობა იყო ის პრობლემა, რომელიც შეიძლება გამხდარიყო სისტემური გამოწვევა ჩვენი ეკონომიკისთვის. ეს პრობლემა მოითხოვდა სასწრაფო და პრინციპული ნაბიჯების გადადგმას, არ შეიძლება ჭარბვალიანობასთან ბრძოლამ გამოიწვიოს ჯანსაღი კრედიტების შეფერხება. როდესაც ვსაუბრობთ ჯანსაღი დაკრედიტების სისტემაზე უნდა გვქონდეს მაქსიმალურად კომფორტული პირობები შექმნილი კრედიტორსა და მომხმარებელს შორის,

საბოლოო ჯამში ის არის, რომ ქვეყანაში ყველა ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ახდენს სესხის გაცემას, იქნება ეს ბანკი, მიკრო საფინანსო თუ სხვა იურიდიული პირი, მისი დაწესებული სტანდარტი იყოს, არის ასეთი ტერმინი - პასუხისმგებლიანი დაკრედიტება და ეყრდნობოდა ამ სტანდარტს. ეს ორგანიზაციები უნდა სწავლობდნენ მსესხებლის კრედიტუნარიანობას, მის შემოსავლებს და რაც მთავარია, გადახდის უნარს, რამდენად შეუძლიათ მათ მოემსახურონ აღებულ სესხს. საბოლოო ჯამში ეს გამოიწვევს რისკების შემცირებას, როგორც მთლიანად საფინანსო სექტორში, ასევე პირველ რიგში, მოსახლეობისთვის.

ფინანსური მომსახურების კუთხით, ცენტრალური ბანკი აუმჯობესებს საბანკო სისტემის, გადახდების, კაპიტალისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების და ზედამხედველობის ჩარჩოების გაძლიერებას. ცენტრალური ბანკი ასევე ასრულებს მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების დანერგვას სავალუტო შეუსაბამოების, უძრავი ქონების რისკების და სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების საკითხების მოსაგვარებლად. უიმედო სესხები შემცირდა სესხების საერთო მოცულობის 2.9%-მდე, 3.8%-დან წინა წელთან შედარებით. მომგებიანობა კვლავ მაღალია, კაპიტალის და აქტივების რენტაბელურობა ახლოს არის შესაბამისად 20% და 3%-თან. ამასთანავე, დაინერგა დედოლარიზაციის ზომები. ცენტრალური ბანკი ასევე დგამს ნაბიჯებს, შეიმუშავოს პასუხისმგებელი დაკრედიტების ჩარჩო, დაიცვას მომხმარებლები და გააუმჯობესოს ფინანსური განათლება.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ფასიანი ქაღალდების ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირებას. განვითარებადი ქვეყნები განიცდიან საკუთარი სახსრების არარსებობას, საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას კი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ამუშავება წარმოადგენს. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ვაჭრობის წარმოების აუცილებელ წინაპირობას საფონდო ბირჟები ქმნიან. ისინი წარმოადგენენ სახელმწიფოთა ეკონომიკური დონის განმსაზღვრელ ინდიკატორებს.

განვითარებულ ქვეყნებში ფინანსური ბაზარი გადანაწილებულია ბანკებს, სადაზღვეო კომპანიებსა და საფონდო ბირჟებს შორის. პირდაპირი ინვესტიციების გარდა, არსებობს ბიზნესის და მთლიანად ეკონომიკის განვითარების ორი ალტერნატიული გზა - საბანკო სესხი და ფასიანი ქაღალდების ბაზარი. პირველი მექანიზმი გულისხმობს ინვესტორების თანხის შესვლას დეპოზიტის სახით ბანკებში (გარკვეულ პროცენტად) და შემდეგ ბანკების მიერ ამთანხების გაცემას კრედიტის სახით (უფრო მარალ პროცენტად). ფასიანი ქაღალდების ბაზრის სმთხვევაში კი ფულადი სახსრები უშუალოდ მიედინება ინვესტორისგან ეკონომიკაში, კომპანიების ან სხვა სუბიექტების

მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების სანაცვლოდ. საქართველოს მოქალაქეებს თანხების დასაბანდებლად დიდი არჩევანი არ აქვთ. თუ დანაზოგი გამოუჩნდათ, ან ბანკში უნდა შეიტანონ ანაბარზე, სადაც წლიურ უმნიშვნელო სარგებელს უნდა დასჯერდნენ, ან მცირე ბიზნესში უნდა ჩადონ, რაც უმეტეს შემთხვევებში ძალიან სარისკოა. წარმატებულ ქვეყნებში თავისუფალი ფულით მომგებიანი კომპანიების აქციებს ყიდულობენ. ასეთი ინვესტირების დროს ადამიანები სარგებელსაც იღებენ დივიდენდების სახით და თან პერსპექტიული ბიზნესის თანამფლობელები ხდებიან. ამგვარად, ისინი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მონაწილეობენ.

დღეს, საქართველოში, საფონდო ბირჟა, სადაც პერმანენტულად უამრავი კომპანიის ქაღალდებით ვაჭრობა უნდა ხდებოდეს, პრაქტიკულად, გაყინულია. არადა, აშშ-ს მთავრობის დახმარებით, საქართველოში ამერიკის განვითარების სააგენტოს (USAID) ამ დარგის საუკეთესო ამერიკელმა ექსპერტებმა 1998-2000 წლებში საფუძველი ჩაუყარეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის სფეროს. მათ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონში, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 1998 წელს მიიღო, კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული ზემოთხსენებული დაფინანსების ალტერნატიული, კონკურენტი მექანიზმების დამოუკიდებელი განვითარება (მიუხედავად ბანკებისა და ეროვნული ბანკის წინააღმდეგობისა). განვითარებულ ქვეყნებში ისინი მეტნაკლებად ერთ დონეზე განვითარებული და თანაზომადი წილი უჭირავთ ფინანსური მომსახურების ბაზარზე, რადგან საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდნენ და განვითარების დაახლოებით ერთნაირ ეტაპებს გადიოდნენ. ცხადია, თუ საწყის მომენტში ორი ალტერნატიული დარგი ერთნაირ მდგომარეობაშია (განვითარების ერთნაირ სტადიაზეა), მაშინ მათ შორის ბუნებრივი კონკურენცია მკვიდრდება და მათი ეფექტიანობის ზრდასაც უწყობს ხელს; მაგრამ თუ საწყისს მომენტში ერთი ნულოვან დონეზეა და მეორე გაცილებით წინაა წასული მაშინ ნორმალურ კონკურენციას ადგილი არ ექნება და მონოპოლისტი დარგი მუდამ ეცდება ჩანასახშივე ჩაკლას კონკურენტი.

აღნიშნულ კანონში ფასიანი ქაღალდების ინდუსტრია გამიჯნული იყო მისი ბუნებრივი კონკურენტის - საბანკო სფეროსგან, რათა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ახლადჩამოყალიბებულ მექანიზმს მისცემოდა დამოუკიდებლად განვითარების რეალური შესაძლებლობა. ეს გამიჯვნა გამოიხატა რიგ ასპექტებში: ბანკებს არ შეეძლო ბაზარზე უშუალოდ მონაწილეობა (მხოლოდ შვილობილი საბროკერო კომპანიების მეშვეობით); საფონდო ბირჟის არცერთ მესაკუთრეს არ შეეძლო ჰქონოდა ბირჟის 10%-ზე მეტი წილი, ხოლო ბანკებს ერთად არ შეეძლოთ ჰქონოდათ ბირჟის 50%-ზე მეტი; ფასიანი ქაღალდების ბაზრის და მისი მონაწილეების ზედამხედველობას ახორციელებდა დამოუკიდებელი რეგულატორი - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია - რომელიც იყო კოლეგიალური მართვის ორგანო და გარდა ზედამხედველობისა, მოწოდებული იყო ხელი შეეწყოს ამ ინდუსტრიის განვითარებისთვის.

ამ კანონმდებლობის საფუძველზე 1998-2000 წლებში ჩამოყალიბდა და ამოქმედდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი ინფრასტრუქტურა (საქართველოს საფონდო ბირჟა, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, 12-მდე დამოუკიდებელი რეგისტრატორი), შეიქმნა და ამოქმედდა 40-მდე საბროკერო კომპანია და ა.შ. 2000-2007 წლებში ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში თანდათანობით იკრებდა ძალას. თუმცა, 2007-2008 წლებში მოხდა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის სესახებ“ კანონში ცვლილებები, რამაც გამოიწვია ფასიანი ქაღალდების ბაზრის დისკრედიტაცია:

- შესაძლებელი გახდა ბირჟის გარეშე ვაჭრობა, რის შედეგადაც გარიგებათა 95%-ზე მეტმა ბირჟის გარეთ, გაუმჭირვალე და არაკონკურენტულ გარემოში გადაინაცვლა. რამაც დაუკარგა ინვესტორს ნდობა როგორც ამ ფასიანი ქაღალდისადმი, ასევე მთელი ამგვარი ბაზრის მიმართ. ეს კი საბოლოო ჯამში განაპირობებს ბაზრის ლიკვიდურობის მნიშვნელოვან ვარდნას.

- გაუქმდა დამოუკიდებელი რეგულატორი და ფასიანი ქაღალდების ზედამხედველობა ჩაბარდა ეროვნულ ბანკს. ეროვნული ბანკის პრიორიტეტი კი ყოველთვის კომერციული ბანკებია და ნაკლებად არის დაინტერესებული თავისუფალი საბირჟო ვაჭრობის განვითარებით.
- კომერციულ ბანკებს საშუალება მიეცათ საფონდო ბირჟის აქციების საკონტროლო პაკეტი შეეძინათ. საბოლოო ჯამში, ბანკები ბირჟის აქციების 50%-ზე მეტს ფლობენ და წესდების შესაბამისად, გადაწყვეტილების მიმღებთა შორის ხმათა უმრავლესობა აქვთ. ეს კი საშუალებას აძლევთ, პროცესები დამოუკიდებლად, თავიანთი სურვილის შესაბამისად წარმართონ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს კეთილი ნების გარეშე ამ პრობლემების მოგვარება წარმოუდგენელია. მან სხვადასხვა მეთოდებით უნდა მოახდინოს საფონდო ბირჟის სტიმულირება. ამასვე მოითხოვს სახელმწიფოსაგან ასოცირების ხელშეკრულებაც. შეთანხმებაში კონკრეტულად აღნიშნული არ არის საფონდო ბირჟის მოწყობის სქემა და არც ის არის გაწერილი, დასაშვებია თუ არა საფონდო ბირჟის გარეთ აქციებით ვაჭრობა. ევროკავშირის დირექტივები ითვალისწინებს ე.წ. „საუკეთესო შესრულების“ (best execution) წესს, რაც ნიშნავს, რომ ორგანიზებული ბაზრის მონაწილემ თავის კლიენტებისთვის გარიგების საუკეთესო პირობებით შესრულება უნდა უზრუნველყოს. ვინაიდან ობიექტურად საუკეთესო პირობებს, მართლაც საფონდო ბირჟაზე გარიგების დადება უზრუნველყოფს, ამიტომ სწორედ ამ პირობების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა ბირჟაზე დაშვებულ ფასიან ქაღალდებზე გარიგებების მხოლოდ ბირჟაზე დადების მოთხოვნა.

ასევე მნიშვნელოვანია, ბირჟის განვითარებისთვის საპენსიო რეფორმის განხორციელება, რომელიც უკვე 2019 წლის იანვრიდან შევიდა ძალაში და რომლის შედეგადაც ამოქმედდება სახელმწიფო დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომელშიც აკუმულირებული სახსრების დიდი ნაწილის ინვესტირება სწორედ ადგილობრივ ფასიან ქაღალდებში, ადგილობრივ ეკონომიკაში მოხდება.

ამრიგად, განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების პროცესი სახელმწიფოს დიდი როლი ეკისრება. ფასიანი ქაღალდების ბაზარი გლობალური ეკონომიკის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ელემენტია, რომლის გარეშეც შეუძლებელია ეკონომიკის მდგრადი ფუნქციონირება. აუცილებელია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, რომელიც მოიცავს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასა და პროფესიონალთა ფართო წრის მონაწილეობით თანამედროვე სტანდარტების სამართლებრივი ბაზის შექმნას. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს ბაზრის მონაწილეების საქმიანობის არიალის გაფართოებასა და მომსახურების გაუმჯობესებას, უზრუნველყოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის გამჭვირვალობა, გახსნილობა, ორგანიზებულობის ამაღლება.

დასკვნა

როგორც ანალიზმა აჩვენა თანამედროვე დაზღვევის ბაზარი საქართველოში ვერ ასრულებს ფინანსური ბაზრის საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფის ფუნქციას მაღალ დონეზე. მდგომარეობის გაუმჯობესება მხოლოდ ახალი და არსებული რეგულაციების გატარებით იქნება შესაძლებელი, რაც ფოკუსირებული უნდა იქნას მოსახლეობის ნდობის ხარისხის ამაღლებაზე, სადაზღვევო კომპანიის გადახდისუნარიანობისა და მდგრადობის ზრდაზე, საინვესტიციო ფუნქციის შესრულებისას მაღალი ხარისხის რისკებისაგან დაცვის მექანიზმების შემუშავებაზე.

განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების პროცესი სახელმწიფოს დიდი როლი ეკისრება. ფასიანი ქაღალდების ბაზარი გლობალური ეკონომი-

მიკის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ელემენტია, რომლის გარეშეც შეუძლებელია ეკონომიკის მდგრადი ფუნქციონირება. აუცილებელია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, რომელიც მოიცავს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასა და პროფესიონალთა ფართო წრის მონაწილეობით თანამედროვე სტანდარტების სამართლებრივი ბაზის შექმნას. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს ბაზრის მონაწილეების საქმიანობის არიალის გაფართოებასა და მომსახურების გაუმჯობესებას, უზრუნველყოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის გამჭვირვალობა, გახსნილობა, ორგანიზებულობის ამაღლება.

ეროვნული ბანკის მიერ გატარებული რეფორმები საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების პირობების შესრულების შესახებ ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში აისახა. ევროკავშირი ქვეყნის მთავარი ბანკის საქმიანობას დადებითად აფასებს. რეგულაციები და ნორმატიულ აქტები უზრუნველყოფს იმას, რომ მიკრო საფინანსო სესხების ბაზარი გახდეს კიდევ უფრო გამჭვირვალე, ხელმისაწვდომი, ოღონდ იმ პირობით, როცა დაცული იყოს მომხმარებლის ინტერესიც. აუცილებელია რომ ეროვნულმა ბანკმა მომავალშიც გააგრძელოს მუშაობა მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად შესაბამისი მექანიზმების გაძლიერებისა და ფინანსური ორგანიზაციების მიმართ მოთხოვნების ევროდირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს საფინანსო სისტემის ხარისხობრივ გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხარტიშვილი ჯ. სადაზღვეო ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში// ეკონომიკა 2016 წ N 9-10;
2. www.nbg.gov.ge
3. თეონა კონტრიძე - ფინანსური ჯგუფების ზედამხედველობა და რეგულირება ეკონომიკა და საბანკო საქმე ტომი 5 N 1 2017წ.
4. <http://competition25.ge/public/uploads/media/lazariashviliTamar.pdf>
5. <http://forbes.ge/blog/177/romeli-sadazRvevo-produqtia-yvelaze-popularuli-saqarTveloSi%3F>
6. <http://business.org.ge/sadazghvevo-bazari-2016/>
7. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0>
8. <http://dazghveva.ge/janmrtelobis-dazghveva/>
9. <http://competition25.ge/public/uploads/media/lazariashviliTamar.pdf>
10. <http://eprints.iliauni.edu.ge/3006/1>
11. insurance.gov.ge